მეკარის ბრწყინვალე თამაში

“სპარტაკი” (თბილისი) _ “დინამო” (თბილისი). 1:0 (0:0).
5 სექტემბერი. ლ. პ. ბერიას სახელობის “დინამოს” სტადიონი.
მსაჯი: ნ. ჩხატარაშვილი (თბილისი).

ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ფეხბურთელთა ჩემპიონატი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ყოველი შესაძლებელი ქულა მკაცრ “აღრიცხვაზეა” აყვანილი და წარუმატებლობის შემთხვევაში გუნდმა შეიძლება ვეღარც მოახერხოს მდგომარეობის გამოსწორება. ამიტომ თბილისის გუნდების 32-ე კალენდარული მატჩი დიდ ინტერესს იწვევდა.

თამაშის პირველივე წუთებიდან გამოაშკარავდა მოწინააღმდეგეთა ტაქტიკური სქემა: “დინამო” მოქმედებს გრძელი გადაცემებით, მცველები ბურთს გზავნიან შორს თავდამსხმელებთან, რომლებიც ცდილობენ გაუსხლტნენ თავიანთ “დარაჯებს” და თავისუფალ ადგილას მიიღონ ბურთი. ნახევარდამცველები მჭიდროდ მიჰყვებიან თავდამსხმელებს და შეტევის “მეორე ეშელონს” ქმნიან, ხშირად შედიან საჯარიმო მოედანში და რიცხობრივი უპირატესობით სურთ მოწინააღმდეგის დაცვის დეზორგანიზაცია.

პირველ ხანებში “სპარტაკი” მონდომებით ცდილობს მოწინააღმდეგის გეგმის დარღვევას. მცველები ფხიზლად “ყარაულობენ” თავდამსხმელებს და სრული ენერგიით მუშაობენ ურთიერთდაზღვევაზე. როგორც ყოველთვის ბრწყინვალედ თამაშობს სპარტაკელთა ნახევარდაცვა ნ. გაგნიძე-კილაძე. ისინი კარგა ხანს “მოთმინებით” ებრძოდნენ აგრესიულად განწყობილ შუამარბებს _ მახარაძესა და ღოღობერიძეს, ხოლო როცა მათთან ჭიდილში უპირატესობა მოიპოვეს, მოქმედება “დინამოს” ნახევარზე გადაიტანეს, სადაც კ. გაგნიძე, ლომაია და ბერძენიშვილი სახიფათო მომენტებს ქმნიან.

ასე, დაძაბულ ორმხრივ ბრძოლაში იწურება პირველი ტაიმი, რომელსაც შედეგი არ მოაქვს.

მატჩის მეორე ნახევარი კვლავ მწვავე ბრძოლით აღინიშნა. დინამოელები ზედმეტი გარდიგარდმო გადაცემებით ამოქმედდნენ და ინიციატივა მოწინააღმდეგეს მისცეს ხელთ. “სპარტაკის” თავდამსხმელებმა რამდენიმე სახიფათო შეტევა განავითარეს მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე და 20-ე წუთზე წარმატებასაც მიაღწიეს: “დინამოს” დაცვამ ზერელედ გაითამაშა ბურთი, რომელსაც გამყრელიძე დაეუფლა და მყისვე წინ გაიჭრა. მარღანიამ დაგვიანებით გააკეთა ნახტომი და მას ბურთის მაგივრად... გამყრელიძის ფეხი შერჩა ხელთ, ბურთი კი ნელა გადასცდა კარის ხაზს.

დარჩენილი დრო დინამოელებმა სტიქიურ, მოუფიქრებელ იერიშებში ჩაატარეს. მათმა ცენტრალურმა მცველმა ძიაპშპამ უყურადღებოდ დატოვა თავისი ზონა და თავდამსხმელთა რიგებში ჩაერია, რაც, ცხადია, შეცდომა იყო.

“სპარტაკის” გამარჯვებებში მნიშვნელოვანი წვლილი მეკარე მ. ჟმელკოვს მიუძღვის. წარსულში საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე კვლავ დაუბრუნდა თავის საბრძოლო ფორმას. მიმდინარე სეზონში ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე კვლავ იხილეს ჟმელკოვის ბრწყინვალე თამაში. აღნიშნული მატჩი მან უმაღლესი ოსტატობით ჩაატარა, რამდენიმე “მკვდარი” ბურთისაგან გადაარჩინა კარი და გუნდის წევრები ამ საპატიო გამარჯვებისათვის აღაფრთოვანა.

“სპარტაკი” 32 ქულით მტკიცედ დამკვიდრდა ცხრილის შუაგულში.

კარგად ჩაატარა მატჩი ნ. ჩხატარაშვილმა.

ამ გუნდების დუბლშემადგენლობათა შეხვედრა დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით _ 2:1.

“ლელო”, 8 სექტემბერი 1950 წ.